ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის"

ეთიკის კომისიის

სხდომის ოქმი №01/14

ქ. თბილისი **22.01.2014**

სხდომა დაიწყო: 18:00 სთ **სხდომა დასრულდა: 19:35 სთ**

ეთიკის კომისიის სხდომა ჩატარდა 2014 წლის 22 იანვარს ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ოფისში, მდებარე ქ. თბილისში, ძმ. ზუბალაშვილების ქ.№36.

ეთიკის კომისიის სხდომა მოწვეული იქნა ეთიკის კომისიის თავმჯდომარის დავალებით, ეთიკის კომისიის წევრებისათვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას უძღვება ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ციცინო ცხვედიანი. ეთიკის კომისიის სხდომა მოწვეული იქნა კანონისა და წესდების მოთხოვნების სრული დაცვით, ამის გამო არც ერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

ეთიკის კომისიის სხდომას ესწრებიან ეთიკის კომისიის წევრები:

1. ციცინო ცხვედიანი
2. გია ტაბლიაშვილი
3. ეკატერინე გასიტაშვილი
4. თეა ჭეიშვილი
5. მარინა კვაჭაძე
6. თორნიკე ბაქრაძე
7. გოჩა სვანიძე
8. ია გაბედავა
9. სანდრო ჯორბენაძე

სხდომის თავმჯდომარემ ციცინო ცხვედიანმა აღნიშნა, რომ სხდომას ესწრება ეთიკის კომისიის შემადგენლობის უმრავლესობა, ამდენად, სხდომა კანონისა და წესდების შესაბამისად გადაწყვეტილებაუნარიანია.

სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება ეთხოვა ია გაბედავას, რომელსაც ტექნიკურ დახმარებას გაუწევს ეთიკის კომისიის იურისტი თამარ ხუბულური.

სხდომის თავმჯდომარემ ციცინო ცხვედიანმა ეთიკის კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

ეთიკის კომისიის დღის წესრიგით გათვალისწინებულია შემდეგი საკითხი:

1. **ადვოკატის მიერ წევრობის შეწყვეტის შემთხვევაში დისციპლინური წარმოების შედეგი;**
2. **ეთიკის/ დეონტოლოგიის საკითხებზე აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების განმარტება;**
3. **განხილვის კოლეგიის მიერ საქმის სრული შემადგენლობისათვის გადაცემისას გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის ფორმულირების ფორმა;**
4. **ადვოკატთა ასოციაციის საიტის ეთიკის კომისიის გრაფასთან დაკავშირებული პრობლემის აღმოფხვრის საშულებები.**

ეთიკის კომისიამ დაიწყო დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითის განხილვა.

1. **ადვოკატის მიერ წევრობის შეწყვეტის შემთხვევაში დისციპლინური წარმოების შედეგი;**

ეთიკის კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, ეთიკის კომისიის პრაქტიკაში გახშირდა შემთხვევები, როდესაც მიმდინარე დისციპლინური წარმოების დროს, ადვოკატს საკუთარი განცხადების საფუძველზე ან საწევრო გადასახადის გადაუხდელობის გამო უწყდება სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრობა, რაც ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 22-ე მუხლის ,,ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური წარმოების შეწყვეტის საფუძველია. ამ გზას ადვოკატები ეფექტურად იყენებენ პასუხისმგებლობის თავიდან ასარიდებლად. აღნიშნულმა საკითხმა თავი სხვადასხვაგვარად იჩინა პრაქტიკაში: საჩივრის შემოსვლის შემდეგ საპროცესო ეტაპზე წევრობის შეწყვეტა, დისციპლინური დევნის აღძვრის შემდეგ წევრობის შეწყვეტა, განხილვის სხდომის ჩატარების შემდეგ გადაწყვეტილების მომზადებამდე 5 დღიან ვადაში წევრობის შეწყვეტა. წინა მოწვევის ეთიკის კომისიამ 2013 წლის ნოემბერში საერთაშორისო ექსპერტთა რეკომენდაციით საკითხის გადაჭრისთვის და დისციპლინური წარმოების ეფექტურობისთვის გარკვეული წინადადება შესთავაზა აღმასრულებელ საბჭოს, რომელიც ჯერ დაკმაყოფილდა, თუმცა შემდეგ შეიცვალა, გაუქმდა და საკითხის განხილვა გადაიდო მომავლისთვის. ამ ეტაპზე საქმეები, სადაც ადვოკატებს წევრობა შეუწყდათ

შეჩერებულია, მაგრამ საკითხი საჩქაროა იმ მხრივ, რომ საქმისწარმოების ეფექტურობისთვის ერთიანი პრაქტიკა არის დასადგენი.

გოჩა სვანიძის მოსაზრებით, ადვოკატი შეზღუდული არ არის წევრობის შეწყვეტის შემდეგ კვლავ გაწევრიანდეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში და თუ ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა, 5 წელი არ იქნება გასული, ძველ განცხადებას მოსვლელობა უნდა მიეცეს.

სხდომის თავმდომარის განმარტებით ამ შემთხვევაში საქმის წარმოება წყდება, არ ჩერდება და შესაბამისად, ძველ განცხადებას ვერ მიეცემა მსვლელობა.

გოჩა სვანიძის მოსაზრებით, წევრობის შეწყვეტის შედეგებზე ვრცელდება ეთიკის კომისიის კომპეტენცია, უშუალოდ წევრობის შეწყვეტასთან დაკავშირებული პროცესი, აღმასრულებელი საბჭოს კონპეტენციაა.

ეთიკის კომისიის თავმჯდომარის წინადადებით შესაძლებელია ეთიკის კომისიისა და აღმასრულებელი საბჭოს კოორდინირებული მუშაობა იმ მხრივ, რომ აღმასრულებელმა საბჭომ ეთიკის კომისიას მოაწოდოს იმ პირთა სია, ვისაც საკუთარი სურვილის საფუძველზე სურს წევრობის შეწყვეტა და ამ განცხადებათა განხილვა გადავადდეს.

ეკატერინე გასიტაშვილის განმარტებით, ეთიკის კომისიისთვის მინიჭებული მაღალი მანდატიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია გარკვეული გამოსავლის ნახვა, იმ მდგომარეობიდან, როდესაც არსებობს პასუხისმგებლობის თავიდან არიდების მექანიზმი დისციპლინური წარმოების მიმდინარეობის დროს წევრობის ნებაყოფლობით შეწყვეტის სახით. აღნიშნულის თაობაზე წინა მოწვევის ეთიკის კომისიამ განცხადებით მიმართა აღმასრულებელ საბჭოს, თუმცა კონკრეტული შედეგი არ დადგა. ეთიკის კომისია, როგორც სასამართლოს მსგავსი ორგანო, რომელიც პროფესიის ღირებულებების დადგენას უზრუნველყოფს, ვალდებულია თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ქმედითი ღონისძიებები განახორციელოს, რომლის კოორდინირება დღესვე შეიძლება. აღნიშნულ საკითხზე ეთიკის კომისია ესაუბრა ევროკავშირის პროექტის მხარდაჭერით დებულების ცვლილებებზე მუშაობის დროს მოწვეულ ექსპერტს რანკო პელიკარიჩს. წინა წერილი, რომლის გაგზავნის გადაწყვეტილებაც ექსპერტის რეკომენდაციით ეთიკის კომისიამ მიიღო, მიზნად ისახავდა დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის კონფიდენციალობის პრინციპის დაცვით ეფექტურ კოორდინირებას. ექსპერტის რჩევით ეთიკის კომისიამ შემდეგი წინადადება შესთავაზა აღმასრულებელ საბჭოს: აღმასრულებელ საბჭოს ეთიკის კომისიისთვის უნდა მოეწოდებინა იმ პირთა სია, ვინც მიმართა წევრობის შეწყვეტის განცხადებით, ეთიკის კომისიის აპარატის მიერ გადამოწმდებოდა ხომ არ მიმდინარეობდა მათ მიმართ დისციპლინური წარმოება და ასეთის არსებობის შემთხვევაში კომისია

მიმართავდა საბჭოს თხოვნით გადაევადებინა საკითხის განხილვა წარმოების დასრულებამდე.

გოჩა სვანიძის განცხადებით, აღმასრულებელი საბჭო პირის განცხადებას არ იხილავს, მხოლოდ ცნობად იღებს.

ეკატერინე გასიტაშვილის განცხადებით, მისაღებია ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილება.

გოჩა სვანიძის განმარტებით, ეთიკის კომისია ვერ დაამკვიდრებს დებულების საწინააღმდეგო პრაქტიკას. საჭიროა ცვლილებები დებულებაში. მისი წინადადებით შესაძლებელია საწყის ეტაპზე პატარა სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც დებულების ცვლილებებზე იმუშავებს, შემდეგ უფრო ფართო ფორმატით განიხილება ცვლილებების პროექტი, ხოლო შემდეგ მიეწოდება აღმასრულებელ საბჭოს განხილვისთვის და საერთო კრებაზე გასატანად.

თეა ჭეიშვილის მოსაზრებით, შეწყვეტის განსხვავებული საფუძვლებიდან გამომდინარე, პრობლემისადმი დიფერენცირებული რეგულირებაა საჭირო. ამჟამინდელი მდგომარეობით, წევრობის შეწყვეტა საფუძველთა სხვაობის მიუხედავად წარმოების შეწყვეტის საფუძველია და განსხვავებული რეგულირებაა საჭირო.

გოჩა სვანიძის მოსაზრებით დებულება უნდა ითვალისწინებდეს არა შეწყვეტის, არამედ საქმისწარმოების შეჩერების შემთხვევას და თუ ადვოკატი წევრობას მომდევნო 5 წლის განმავლობაში არ აღიდგენდა, საქმისწარმოება მის მიმართ შეწყდებოდა.

მარინა კვაჭაძის მოსაზრებით, ორ კვირაში დაგეგმილ უცხოელ ექსპერტთან შეხვედრისას შესაძლებელი იყო ამ საკითხზე შეკითხვის დასმა.

სანდრო ჯორბენაძის მოსაზრებით, ცვლილების სახით შესაძლებელია ისეთი ჩანაწერის გაკეთება, რომ წევრობის შეწყვეტის შემთხვევაში, ვინაიდან სადავო ქმედება განხორციელდა ადვოკატის წევრობის დროს, არ შეწყდეს დისციპლინური წარმოება წევრობის შეწყვეტის მიუხედავად.

გოჩა სვანიძის მოსაზრებით, ამ შემთხვევაში ვერ მოხდება დაკისრებული სახდელის აღსრულება. უმჯობესია საქმისწარმოება შეჩერდეს არა უმტეს 5 წლის ვადით.

ეთიკის კომისიის წევრი ხათუნა გრიგალაშვილი შემოუერთდა სხდომას.

ეკატერინე გასიტაშვილის წინადადებით, კომისიის სხდომაზე უნდა დასახელებულიყო დებულების ცვლილებებზე მომუშავე ჯგუფის წევრები.

სხდომის თავმჯდომარის წინადადებით უნდა შეიქმნას ღია ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ გოჩა სვანიძე, ეკატერინე გასიტაშვილი, ხათუნა გრიგალაშვილი.

ეთიკის კომისიამ გადაწყვიტა:

,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 22-ე მუხლის ,,ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე საქმეებზე, რომელიც შეჩერებულია ადვოკატთა წევრობის შეწყვეტის საფუძვლით განახლდეს დისციპლინური წარმოება და დისციპლინური წარმოება შეწყდეს, ვინაიდან ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონისა და ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების არსებული რედაქციები არ იძლევა საქმის არსებითი განხილვის უფლებას იმ ადვოკატის მიმართ, რომელიც აღარ წარმოადგენს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წევრს.

შეიქმნას ეთიკის კომისიის წევრებით დაკომპლექტებული ღია ჯგუფი, რომელიც იმუშავებს ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების ცვლილებებზე. ჯგუფის შემადგენლობაში შევლენ ეთიკის კომისიის წევრები გოჩა სვანიძე, ეკატერინე გასიტაშვილი და ხათუნა გრიგალაშვილი. კომისიის სხვა წევრებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ ჩაერთონ ჯგუფის მუშაობაში.

<u>კენჭისყრის შედეგები - ერთხმად.</u>

ციცინო ცხედიანის წინადადებით კომისია გადავიდა მესამე საკითხის განხილვაზე.

3. **განხილვის კოლეგიის მიერ საქმის სრული შემადგენლობისათვის გადაცემისას გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის ფორმულირების ფორმა**

ციცინო ცხვედიანის განმარტებით, არსებობს აზრთა სხვადასხვაობა მოცემულ საკითხზე, ვინაიდან საკითხავია განხილვის კოლეგიის მიერ საქმის სრული შემადგენლობისთვის განსახილველად გადაცემისას უნდა დასაბუთდეს გადაწყვეტილება მხოლოდ გადაცემის ნაწილში თუ უნდა მოხდეს ფაქტების დადგენა. ასეთ შემთხვევაში ეთიკის კომისიის სრული შემადგენლობა ხომ არ იბოჭება საქმის გამოკვლევის ფარგლებში და ხომ არ იძენს საქმისწარმოების მესამე ეტაპის ფუნქციას, რასაც დებულება არ ითვალისწინებს.

ციცინო ცხვედიანის განმარტებით ეთიკის კომისიის არსებული პრაქტიკით როდესაც განხილვის კოლეგია იღებდა საქმის მთლიანი შემადგენლობისთვის გადაცემის გადაწყვეტილებას იმ ვარაუდით, რომ საქმეზე შეიძლება მიღებული ყოფილიყო გადაწყვეტილება საქმიანობის უფლების შეჩერების ან წევრობის შეწყვეტის შესახებ, სამოტივაციო ნაწილი შედგებოდა მხოლოდ საქმის ეთიკის კომისიისათვის გადაცემის საფუძვლის შესახებ მითითებისგან. კომისიას უნდა დაედგინა პრაქტიკა განხილვის კოლეგია საქმის ეთიკის კომისიის სრული შემადგენლობისათვის გადაცემისას გადაწყვეტილების

სამოტივაციო ნაწილს დაწერს თუ არა ისე, როგორც ჩვეულებრივად განხილვის გადაწყვეტილებაა (დადგენილი უდავო და სადავო გარემოებები, სამართლებრივი შეფასება) თუ მიუთითებს სავარაუდო დარღვევაზე და ფაქტების დადგენა თუ შეფასება ეთიკის კომისიის საბოლოო გადაწყვეტილებაში აისახოს. სამსჯელო იყო უდავო და სადავო გარემოებების დადგენისას და შეფასებისას ხომ არ იბოჭებოდა ეთიკის კომისია განხილვის კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ფარგლებში და ხომ არ რჩებოდა მას შესაფასებლად მხოლოდ სახდელის პროპორციულობა.

გოჩა სვანიძის წინადადებით ეთიკის კომისიამ უნდა იმსჯელოს მხოლოდ დისციპლინური სახდელის ნაწილში, ვინაიდან თუ განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილებაც დაემყარება ვარაუდს, განხილვის კოლეგია იქნება მხოლოდ ფიქცია. ეთიკის კომისია, როგორც კოლეგიური ორგანო, თუ მიიჩნევს, რომ განხილვის კოლეგიამ ფაქტები ცოტა სხვაგვარად დაადგინა, თავისი განწყობა შეუძლია გამოხატოს დისციპლინური სახდელის ნაწილში. უნდა მოხდეს ფაქტების დადგენაც და შეფასებაც.

ეთიკის კომისიის წევრმა მარინა კვაჭაძემ დატოვა სხდომა.

ეკატერინე გასიტაშვილის მოსაზრებით, მთლიანი შემადგენლობის მიერ საქმის განხილვისას კომისიამ დადგენილად უნდა მიიჩნიოს განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილი ფაქტები, მაგრამ უნდა მოისმინოს მხარეები, შეკითხვები დაუსვას მათ და გამოიკვლიოს საქმე.

გოჩა სვანიძის შეფასებით, მხარეების მოსმენა მნიშვნელოვანია დისციპლინური სახდელის განსაზღვრისას. განხილვის კოლეგია ხელმძღვანელობს დარღვევის სიმძიმით.

ეთიკის კომისიამ გადაწყვიტა:

განხილვის კოლეგიამ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მიუთითოს არა მხოლოდ საქმის მთლიანი შემადგენლობისთვის გადაცემის საფუძველი, არამედ სამართლებრივად შეაფასოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და დაასაბუთოს რატომ გადასცემს საქმეს მთლიან შემადგენლობას. დადგენილ ფაქტებში შეიძლება ეთიკის კომისიის მიერ ცვლილების შეტანა, ვინაიდან ეთიკის კომისია თავიდან იკვლევს საქმეს.

<u>კენჭისყრის შედეგები - ერთხმად.</u>

ციცინო ცხედიანის წინადადებით კომისია გადავიდა მეორე საკითხის განხილვაზე.

2. **ეთიკის/ დეონტოლოგიის საკითხებზე აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების განმარტება**

სხდომის თავმჯდომარის განმარტებით სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე სიახლეებში დაიდო შემდეგი სახის ინფორმაცია: ,,*სხდომაზე*

აღმასრულებელი საბჭოს წევრებს შორის გადანაწილდა საქმიანობის სფეროები და კომპეტენციები. სისხლის სამართლის კომიტეტი, სამოქალაქო სამართლის კომიტეტი, ადმინისტრაციულ საქმეთა კომისია, კომერციული სამართლის კომისია, ადვოკატის უფლებების დაცვის კომისია, ***პროფესიული ეთიკა/დეონტოლოგია,*** *უფასო იურიდიული დახმარება, პროფესიული ჟურნალის, რეგიონული ოფისების განვითარება, სოციალური დაცვა, წამახალისებელი და კულტურულ–სპორტული ღონისძიებები, ჯანმრთელობის დაზღვევა, საერთაშორისო ურთიერთობები, სასწავლო ცენტრის განვითარება, ეს ის მიმართულებებია რაც წარმოადგენს ადვოკატთა ასოციაციის პრიორიტეტებს.“*

გოჩა სვანიძისა და ეკატერინე გასიტაშვილის მოსაზრებით, მიზანშეწონილია აღმასრულებელ საბჭოს ჰკითხოს კომისიამ თუ რა იგულისხმება *,,აღმასრულებელი საბჭოს წევრებს შორის სფეროების, პროფესიული ეთიკა/დეონტოლოგიის გადანაწილება“*-ში.

ხათუნა გრიგალაშვილის მოსაზრებით, აღმასრულებელმა საბჭომ უნდა განმარტოს თუ რა იგულისხმება საბჭოს კონკრეტული წევრისათვის აღნიშნული უფლებამოსილების მინიჭებაში და რა კავშირი ექნება ეთიკის კომისიასთან.

ციცინო ცხვედიანის მოსაზრებით, სიახლეში მოცემული ინფორმაცია გადასამოწმებელი და დასაზუსტებელია.

გია ტაბლიაშვილის მოსაზრებით, ეს არის ზოგადი ხასიათის სიახლე და არ უკავშირდება ეთიკის კომისიას.

ეთიკის კომისიამ გადაწყვიტა:

წერილობით მიმართოს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ აღმასრულებელ საბჭოს და მოითხოვოს განმარტება თუ რა იგულისხმებოდა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე სიახლეებში დადებულ შემდეგი სახის ინფორმაციაში: *,,სხდომაზე აღმასრულებელი საბჭოს წევრებს შორის გადანაწილდა საქმიანობის სფეროები და კომპეტენციები. სისხლის სამართლის კომიტეტი, სამოქალაქო სამართლის კომიტეტი, ადმინისტრაციულ საქმეთა კომისია, კომერციული სამართლის კომისია, ადვოკატის უფლებების დაცვის კომისია, პროფესიული ეთიკა/დეონტოლოგია, უფასო იურიდიული დახმარება, პროფესიული ჟურნალის, რეგიონული ოფისების განვითარება, სოციალური დაცვა, წამახალისებელი და კულტურულ–სპორტული ღონისძიებები, ჯანმრთელობის დაზღვევა, საერთაშორისო ურთიერთობები, სასწავლო ცენტრის განვითარება, ეს ის მიმართულებებია რაც წარმოადგენს ადვოკატთა ასოციაციის პრიორიტეტებს.“*

<u>კენჭისყრის შედეგები - ერთხმად.</u>

ციცინო ცხვედიანის წინადადებით კომისია გადავიდა მეოთხე საკითხის განხილვაზე.

4. **ადვოკატთა ასოციაციის საიტის ეთიკის კომისიის გრაფასთან დაკავშირებული პრობლემის აღმოფხვრის საშულებები.**

ეკატერინე გასიტაშვილმა აღნიშნა, რომ ეთიკის კომისიის ნაწილში ასოციაციის საიტის გამართული ფუნქციონირება მნიშვნელოვანია, ვინაიდან საზოგადოება ეთიკის კომისიის საქმიანობის შესახებ საიტიდან იგებს. სათანადო პასუხისმგებლობით აღჭურვილ პირს თავის დროზე გადაეცა საიტზე დასადები მასალა და სისტემატიურად ხდებოდა მასთან ერთად საიტზე მუშაობა, თუმცა დღეის მდგომარეობით, საიტზე შეინიშნება მთელი რიგი ხარვეზები: მასალათა ნაწილი კიდევ არ არის ატვირთული ან ატვირთული ინფორმაცია ირევა გრაფებში. ეთიკის კომისიამ თავის დროზე ასევე იმუშავა სტრუქტურის ცვლილებაზე. დღეს საიტზე გადაწყვეტილებათა პოვნა შეუძლებელია და ხარვეზი აღმოსაფხვრელია.

გია ტაბლიაშვილმა აღნიშნა, რომ საიტზე ისევ ეთიკის კომისიის ძველი წევრების შესახებ ინფორმაციაა ატვირთული.

ეთიკის კომისიის იურისტმა აღნიშნა, რომ საიტზე ეთიკის კომისიის ნაწილში ასატვირთი ინფორმაცია ყველაზე ადრე მიაწოდა აპარატმა პასუხისმგებელ პირს. თავიდან იყო დაპირება, რომ ნოემბრის თვეში აიტვირთებოდა მასალა საიტზე, პასუხი არის ყოველთვის ის, რომ ამ ინფორმაციის ატვირთვაზე მიდის მუშაობა, არ სჭირდება დიდი დრო, მაგრამ ეს პროცესი უკვე ოთხი თვე გრძელდება და ეს ,,მიმდინარე მუშაობა" ვერ დასრულდა.

ეკატერინე გასიტაშვილმა განმარტა, რომ დღეის მდგომარეობით მიუხედავად იმისა, რომ ეთიკის კომისიის აპარატის მიერ საიტზე დასადები მასალები სრულად არის მიწოდებული ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირისათვის, ირაკლი კავთიაშვილისათვის, ნოემბრის შემდეგ ეთიკის კომისიის გრაფის მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. ეს არ ჰგავს მუშა პროცესს, ვინაიდან მიუხედავად აღნიშნულ პირთან ერთად ამ საკითხის არაერთხელ გავლისა, მდგომარეობა არ იცვლება. გრაფები ირევა ერთმანეთში და გადაწყვეტილებათა ატვირთვა ვერ ხერხდება. საიტი გაკეთებულია EWMI-JILEP-ის ფინანსური მხარდაჭერით. ასოციაციის აღმასრულებელმა მდივანმა განმარტა, რომ 22 იანვარს საიტზე ხარვეზი გამოსწორებული იქნებოდა. გასარკვევია ვისი პასუხისმგებლობის ნაწილია ასოციაციისთვის ჩაბარებული საიტის გაუმართაობა. ირაკლი კავთიაშვილის განმარტებით, ეს საიტის შემქმნელთა ბრალითაა გამოწვეული, თუმცა ფაქტია, საიტის მომხმარებლებისთვის არაფერი იცვლება და მისაღებია გადაწყვეტილება რა შეიძლება გაკეთდეს ამასთან დაკავშირებით.

ხათუნა გრიგალაშვილის განმარტებით, საიტის გამართული ფუნქციონირება მნიშვნელოვანია, ვინაიდან აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებაც, რომ ყოფილიყო თავის დროზე ატვირთული, კომისია ნახავდა მას და მეორე საკითხზე მსჯელობა არ მოუწევდა. საიტის გაუმართაობა არა მხოლოდ ეთიკის კომისიის, არამედ აღამასრულებელი

საბჭოს პრობლემაცაა. საიტს ზოგადად პრობლემა აქვს და კარგი იქნებოდა აღმასრულებელი საბჭოსთვის წერილობით მიმართვა.

ეთიკის კომისიამ გადაწყვიტა:

სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ საიტის ეთიკის კომისიის გრაფასთან დაკავშირებული პრობლემის აღმოფხვრის მიზნით წერილობით მიემართა სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ თავმჯდომარისთვის.

კენჭისყრის შედეგები - ერთხმად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა ამოიწურა.

კომისიის სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

სხდომის თავმჯდომარე: /ციცინო ცხვედიანი/

სხდომის მდივანი: /ია გაბედავა/